საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 290-02
06/02/2020

2018-2019 წლებში გამოქვეყნებული საუკეთესო ქართული რომანის გამოვლენისა და დაჯილდოების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და ვადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ნოემბრის N107 სხდომის გადაწყვეტილების ლიტერატურული პრემიის შესახებ, წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 დეკემბრის N11 სხდომის გადაწყვეტილების ლიტერატურული პრემიის შესახებ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობების, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით 2020 წლის 6 თებერვლის N1891-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ლიტერატურული კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული პრემიის გაცემის მიზნით 2018-2019 წლებში გამოქვეყნებული საუკეთესო ქართული რომანის გამოსავლენად.

2. კონკურსში მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) რომანი პირველად გამოქვეყნებული უნდა იყოს 2018- 2019 წლების პერიოდში;
ბ) წიგნი უნდა წარმოადგინოს ავტორმა ან გამომცემლობამ, ლიტერატურული პრემია გადაეცემა ავტორს;
გ) ავტორს შეუძლია ერთი განაცხადით წარმოადგინოს რამოდენიმე რომანი;

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო რომანის სამი ეგზემპლარი და განაცხადი უნდა წარმოადგინოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში(მის.ქ.ჩოლოყაშვილის 3/5) 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00საათამდე.

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2020 წლის 1-ლი აგვისტოსა.

5. კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდეს 10 000(ათი ათასი) ლარის ოდენობით.

6. ჟიურის შემადგენლობას აირჩევა კონკურსის წესით. ჟიურის შემადგენლობა კონფიდენციალურია და შედგება უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისგან.

7. განაცხადებათან ერთად წარმოდგენილი წიგნის სამი ეგზემპლარი, კონკურსის დასრულების შემდეგ გადაეცეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

8. რექტორის აპარატის უფროსს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ პროცესის მონიტორინგი, შესაბამისი სამსახურებისათვის დახმარების გაწევა, ჟიურისათვის შეტყობინებების გაგზავნა და ჟიურის სხდომის ჩანაწერის შექმნა.

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს შემოსული განაცხადები გადასცეს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

10. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და სტუდენტური სერვისების მიმართულებით.

11. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

13. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, რექტორის აპარატს.

გიგა ზედანია

რექტორი